



მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

წლიური ანგარიში 2008

სარჩევი

ზოგადი ცნობები
ორგანიზაციული განვითარება 2008 წელს
პროგრამული პრიორიტეტები
საპროექტო საქმიანობა

დანართი

კავკასიური ინსტიტუტის მიერ 2008 წელს განხორციელებული პროექტები

მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი 72, თბილისი 0154, საქართველო
სააბონენტო ყუთი 101, თბილისი 0108, საქართველო
ტელ: (995 32) 35 51 54, ფაქსი (995 32) 35 57 54
ელ-ფოსტა: info@cipdd.org;
www.cipdd.org

ზოგადი ცნობები

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (CIPDD) დაფუძნდა 1992 წლის აგვისტოში თბილისში. ინსტიტუტი არის არასამთავრობო, არასამეწარმეო ორგანიზაცია და არ უკავშირდება რომელიმე პოლიტიკურ პარტიას.

კავკასიური ინსტიტუტი საჯარო პოლიტიკის კვლევის ცენტრია; ის, ძირითადად, საქართველოში წარმართავს თავის საქმიანობას, თუმცა სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვა-ბალტიკის სივრცეზე მიმდინარე ერთობლივ პროექტებშიც მონაწილეობს. ინსტიტუტი ხშირად არის სხვა - ქართული თუ უცხოური - სამოქალაქო ორგანიზაციის პარტნიორი ან რომელიმე კოალიციის წევრი; ამასთან, თანამშრომლობს საქართველოს ხელისუფლებასთან, პოლიტიკურ პარტიებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

კავკასიური ინსტიტუტი აწარმოებს კვლევებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს საჯარო პოლიტიკის სფეროში, გამოსცემს პუბლიკაციებს შესაბამის თემებზე, აწყობს კონფერენციებს, მრგვალ მაგიდებს და საჯარო დისკუსიებს. ინსტიტუტი აგრეთვე ატარებს სასწავლო ტრენინგებს და სემინარებს თავისი კომპეტენციის სფეროებში.

კავკასიური ინსტიტუტი არ არის ნეიტრალური, პოლიტიკური ღირებულებების თვალსაზრისით: საჭიროების შემთხვევაში ის მონაწილეობს ლიბერალური დემოკრატიის მხარდამჭერ სამოქალაქო ინიციატივებში. ამ მიზნით ინსტიტუტი, ჩვეულებრივ, თანამოაზრე ინდივიდებთან და ორგანიზაციებთან შედის კოალიციაში.

მისიის გაცხადება

ჩვენ გვინდა, რომ დემოკრატია იყოს არა ახალი დოგმატური იდეოლოგია, სადაც საზოგადოების ავანგარდი ერთადერთ სწორ იდეას ახვევს თავს “ჩამორჩენილ” თანამომხმეებს, არამედ პროცესი, რომელშიც მოქალაქეები პასუხისმგებლობას იღებენ თავიანთ პოლიტიკურ ინსტიტუტებზე.

კავკასიური ინსტიტუტი არის საზოგადოებრივი დისკუსიის კატალიზატორი: ჩვენ მოვიპოვებთ ცოდნას საზოგადოებრივი პრობლემების შესახებ, ვთავაზობთ საზოგადოებას მათ ანალიზს, შეფასებას და გადაწყვეტის ხედვას, ვაფართოვებთ იმ ადამიანთა წრეს, ვისაც უნდა და შეუძლია ჩაერთოს საჯარო პრობლემებზე ბჭობაში.

ინსტიტუტის მუშაობას ზოგად ხელმძღვანელობას უწევს მისი თავმჯდომარე, დავით აფრასიძე. მუდმივ ადმინისტრაციულ შტატს (ექვსი ადამიანი) ინსტიტუტის ადმინისტრაციული დირექტორი, ავთანდილ ჯოხაძე უდგას სათავეში. ინსტიტუტის საპროგრამო საქმიანობას კოორდინაციას უწევს ადმინისტრაციული საბჭო, რომელიც შედგება ინსტიტუტის თავმჯდომარის, ადმინისტრაციული დირექტორის და პროექტების ხელმძღვანელებისაგან.

კავკასიური ინსტიტუტის სტრატეგიას განსაზღვრავს და საქმიანობას ზედამხედველობს გამგეობა, რომლის წევრებიც არიან:

- ია ანთაძე
- მარატ ბარათაშვილი
- ოლესია ვართანიანი
- გია ნოდია
- ჩარლზ ჰ. ფერბენკსი
- ემზარ ჯგერენაია (გამგეობის თავმჯდომარე)
- ემილია ხალილოვა

ორგანიზაციული განვითარება 2008 წელს

წლებანდელი წელი ღირსახსოვარია ჩვენთვის: არსებობის მეთექვსმეტე წელს კავკასიური ინსტიტუტი ახალშეძენილ ოფისში დაბინავდა. ახლა ინსტიტუტი წერეთლის გამზირზე მდებარე შენობის 900 კვადრატულ მეტრამდე ფართს და საკუთარ საკონფერენციო დარბაზს ფლობს. ოფისის შეძენა განხორციელდა ჰოლანდიური 'კორდაიდი', გერმანული 'ევანგელისტური განვითარების სამსახური'/EED და 'ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის კვლევითი ცენტრის' ფინანსური მხარდაჭერით.

ახალი ოფისის პრეზენტაციაზე მოწვეულ სტუმრებს- კოლეგებს სხვადასხვა სამოქალაქო ორგანიზაციიდან, დონორების/ფონდების, ხელისუფლების და საელჩოების წარმომადგენლებს, პოლიტიკური პარტიების წევრებს, ჟურნალისტებს, უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს - შესაძლებლობა მიეცათ გასცნობოდნენ კავკასიური ინსტიტუტის ბოლოდროინდელ პუბლიკაციებს, ახალ ინიციატივებს და პროექტებს. ახალი ოფისის პრეზენტაცია საუკეთესო შემთხვევა გამოდგა ინსტიტუტის საქმიანობაზე

კავკასიური ინსტიტუტის ფინანსები

ინსტიტუტის საქმიანობა დონორების მხარდაჭერაზე, მისი თანამშრომლების, პარტნიორების და კოლეგების ენთუზიაზმსა და პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული. მისი ფინანსების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მოდის სხვა წყაროებიდან. ასეთია, მაგალითად, ინსტიტუტის გამოცემების გაყიდვით მიღებული შემოსავალი (გამოცემების უმრავლესობა უსასყიდლოდ რიცდება).

2008 წელს ინსტიტუტის აქტივებმა შეადგინა 1 414 736 ამერიკული დოლარის ეკვივალენტი (2008 წლის აუდიტორული დასკვნა იხილეთ ინსტიტუტის ვებ-გვერდზე).

საზოგადოების ინფორმირებისთვის და პარტნიორებთან მიმდინარე თუ სამომავლო პროექტების შესახებ სასაუბროდ.

2008 წელს ინსტიტუტი კიდევ ერთ, რიგით მეოთხე, საერთაშორისო ასოციაციაში - სივიკუსი, მსოფლიო ალიანსი მოქალაქეთა მონაწილეობისათვის (www.civicus.org) - გაწევრიანდა. მანამდე კი ღია საზოგადოების პოლიტიკური ასოციაციის (PASOS), რუსეთის და ევრაზიის უსაფრთხოების ქსელის (RES), დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტების ქსელის (NDRI) და საერთაშორისო ურთიერთობების და უსაფრთხოების ქსელის (ISN) წევრიც გახდა.

ინსტიტუტი განაგრძობდა ახალი თანამშრომლების მოზიდვას და მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას; გრძელდებოდა ტექნიკური გადაიარაღების და აღჭურვის პროცესი. განხორციელდა ინსტიტუტის გამგეობის წევრების როტაცია.

პროგრამული პრიორიტეტები

2008 წელს კავკასიური ინსტიტუტი განაგრძობდა საქმიანობას სტრატეგიული გეგმით მონიშნულ სამ სფეროში: საჯარო პოლიტიკა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, სამოქალაქო ინტეგრაცია. აქ იგულისხმება ისეთი ღონისძიებები, როგორცაა: სკოლებში განათლების რეფორმის მხარდაჭერა; საჯარო პოლიტიკის შემუშავების სტანდარტული ხერხების სწავლება; პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციური ანალიზი; ეთნო- და რელიგიური უმცირესობების სამოქალაქო აქტივობის ხელშეწყობა; დამოუკიდებელი რეგიონული მედიის ქსელური კავშირების შექმნა და განმტკიცება; მედია-მონიტორინგი და სხვა.

საპროექტო საქმიანობა

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება

2008 წლის მიწურულს ფონდი - ღია საზოგადოება საქართველოს მხარდაჭერით კავკასიურმა ინსტიტუტმა ჩაატარა კვლევა, რაც მიზნად ისახავდა სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის დადგენასა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

კვლევა სივიკუსის (მსოფლიო ალიანსი მოქალაქეთა მონაწილეობისთვის www.civicus.org) მეთოდოლოგიას დაეყრდნო, რაც სამოქალაქო საზოგადოების შემდეგი განზომილებების მიხედვით შეფასებას გულისხმობდა: პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეების ჩართულობა, საზოგადოების ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი, ღირებულებები, გარემო და მისი გავლენა. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დაიწერება ანგარიში და პოლიტიკის ნარკვევი (policy brief). სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა წრიდან პროექტის საზედამხედველოდ თორმეტკაციანი მრჩეველთა საბჭო შეიქმნა; საბჭო მონაწილეობას მიიღებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავებაში და ხელს შეუწყობს კვლევის შედეგების გავრცელებას. კვლევის შედეგები და პოლიტიკის ნარკვევი ქართულ და ინგლისურ ენებზე დაიბეჭდება. პროექტის დასკვნით საფეხურზე კონფერენციის ჩატარებაც იგეგმება.

ევანგელისტური განვითარების სამსახურის (EED) პროექტი “უმცირესობათა ინტეგრაციისათვის გარემო პირობების გაუმჯობესება განათლების რეფორმების მხარდაჭერის გზით“ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა ჩართულობის გაღრმავებას და სხვადასხვა ეთნო-რელიგიური ჯგუფი სამოქალაქო უფლებების თანასწორად დაცვას გულისხმობს. საამისოდ 2008 წელს საჯარო სკოლის მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები, რაც ემსახურება ტოლერანტული შეგნებისა და ეთნო-რელიგიური მრავალფეროვნების პატივისცემის განმტკიცებას. სასკოლო სამეურვეო საბჭოს ქმედუნარიანობის გაზრდის მიზნით ამავე პროექტის ფარგლებში სათანადო შინაარსის ტრენინგმოდულებიც მზადდება.

საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გაუმჯობესების მიზნით, კავკასიურმა ინსტიტუტმა რეგიონების სამოქალაქო და საჯარო დაწესებულებების საქმიანობაშიც მიიღო მონაწილეობა: Black Sea Trust-ის გაცვლითი პროგრამის თანახმად ინსტიტუტმა ექვსი რეგიონის სამოქალაქო დაწესებულებების თანამშრომლებს ინსტიტუციური გამოცდილებების ურთიერთგაზიარების შესაძლებლობა შეუქმნა. საჯარო პოლიტიკის დაგეგმვა-განხორციელებაში ფართო საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის ამ ღონისძიებებში არაერთი ადგილობრივი დაწესებულების და ექვსი არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომელი მონაწილეობდა. პროექტის პირველ საფეხურზე 'ქართლი ოცდამეერთეს' (შიდა ქართლი), 'ათინათის' (სამეგრელო), 'განათლების და გარემოს' (იმერეთი), 'კახეთის ხმის' (კახეთი), 'მოსწავლე-ახალგაზრდობის კლუბის' (გურია), 'მესხ დემოკრატთა კავშირის' (სამცხე-ჯავახეთი) წარმომადგენლებს პოლიტიკის ანალიზის ტრენინგის კურსები ჩაუტარდათ. შემდეგი ნაბიჯი მათი სხვადასხვა დაწესებულებაში მივლენა იყო. მომზადდა ექვსი პოლიტიკის ანგარიში საჯარო პოლიტიკის იმ თემებზე, რომლებზეც იმუშავებს პროექტის მონაწილეებმა. ამ ნაშრომების ამონარიდები ადგილობრივ გაზეთებში დაიბეჭდა და საზოგადოებრივი დაწესებულებების მსჯელობის საგანი გახდა.

ღია საზოგადოების ინსტიტუტის კვლევითი ცენტრების ფონდისა (OSI TTF) და დემოკრატიის ეროვნული ფონდის (National Endowment for Democracy/NED) ფინანსური მხარდაჭერით საჯარო პოლიტიკის ანალიზის გაუმჯობესების პროექტი განხორციელდა. პროექტის უმთავრესი მიზანი ახალგაზრდა სპეციალისტებში პოლიტიკური დისკურსის ინტელექტუალური დონის ამაღლება იყო. შემუშავდა პოლიტიკური ანალიზის ტრენინგ-მოდული, რაც ითვალისწინებს საჯარო პოლიტიკის გაანალიზების, როგორც მეთოდოლოგიურ, ისე არსებით ასპექტებს. იგი განსახილველად საერთაშორისო ექსპერტს – ჯონ ჰიკის წარედგინა. მოდულის საბოლოო შემუშავების მერე ექვსმა წინასწარ შერჩეულმა ტრენერმა გაიარა ტრენერთა ტრენინგი და პოლიტიკის ანალიზის სემინარი. ტრენერებმა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან (პოლიტიკურ პარტიებთან, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, უმცირესებებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლებთან) იმუშავეს, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში: ბათუმში, ქუთაისში გორში.

მონაწილეები გაეცნენ საჯარო პოლიტიკის ციკლური მოდელის თეორიის საფუძვლებს და ტიპურ დამახასიათებელ ნიშნებს, გაერკვენენ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცედურებში.

თანამშრომლობა ხელისუფლებასთან, პოლიტიკური პრობლემების გამოვლენა და გადაჭრის გზების დასახვა

ღია საზოგადოების ინსტიტუტის (აშშ) მხარდაჭერილი პროექტი “მთავრობათშორისო ხელშეკრულებები შრომითი მიგრაციის შესახებ” დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ოფისში გამართული კონსულტაციებით დაიწყო. კონსულტაციების შედეგად გამოიკვეთა, რომ არ არსებობდა საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს საზღვარგარეთ დასაქმების შესაძლებლობას ლეგალურად მისცემდა. სწორედ ამ პრობლემის გადაჭრის გზების დასახვა გაიხადა მიზნად კავკასიურმა ინსტიტუტმა აღნიშნულ პროექტში.

საამისოდ გამოკითხულ იქნა მიგრაციის პოლიტიკის სფეროში მომუშავე ათი ექსპერტი. მოძიებული იქნა მსგავსი ხელშეკრულებების პრეცედენტების შემცველი უცხოური მასალა, რის საფუძველზეც ავტორებმა საერთაშორისო გამოცდილება საქართველოს პრობლემებს მიუსადაგეს.

პროექტი ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლის თანამონაწილეობით განხორციელდა.

2008 წლის რუსეთ – საქართველოს ომის შედეგად თბილისში კონფლიქტის ზონიდან გაქცეული მოსახლეობის დიდი რაოდენობა აღმოჩნდა. დევნილთა გარკვეულმა ჯგუფმა, დაახლოებით სამოცმა ოჯახმა, თავშესაფარი გეოფიზიკის ინსტიტუტის შენობაში იპოვა. კავკასიური ინსტიტუტის და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ერთობლივი ძალისხმევით დევნილთა ამ ჯგუფს საგრძნობი დახმარება გაეწია. ინსტიტუტის ორმა დონორმა, ღია საზოგადოების ინსტიტუტის კვლევითი ინსტიტუტების ფონდმა და ეუთო-მ ამ დახმარებაზე თანხების გამოყოფა იკისრა. ჩატარდა დევნილი ოჯახების საჭიროებების კვლევა და მოხდა გამოვლენილი საჭიროებების ნაწილობრივი დაკმაყოფილება. კერძოდ, დახმარების გაწევაზე მომუშავე ჯგუფმა შეიძინა და გადაანაწილა პირველადი მოხმარების საგნები, პროდუქტები, წამლები და ცხოვრების უზრუნველყოფისთვის საჭირო სხვა ნივთები, როგორც გეოფიზიკის ინსტიტუტში თავშეფარებულ 160 დევნილისთვის, ისე სხვა დევნილებისათვის. კავკასიური ინსტიტუტი თავის ქმედებებს ლტოლვილთა და ადგილმაცვალ პირთა სამინისტროსთან კოორდინაციაში ახორციელებდა.

კავკასიური ინსტიტუტის დონორები
2008 წლის განმავლობაში ინსტიტუტის საქმიანობას მხარს უჭერდნენ შემდეგი დონორები:

- დემოკრატიის ეროვნული ფონდი (NED)
- ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის კვლევითი ცენტრების ფონდი (OSI Think Tank Fund - Budapest)
- ღია საზოგადოების ინსტიტუტი, აშშ (OSI)
- ფონდი ღია საზოგადოება საქართველო (OSGF)
- ევროკომისია (EC)
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დემოკრატიის ფონდი (UNDEF)
- ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმალლესი კომისარიატი (OSCE)
- ევანგელისტური განვითარების სამსახური (EED)
- Black Sea Trust of the German Marshall Fund
- ევროსაბჭო (EC)

სახელმწიფო პოლიტიკის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.

2008 წელს კავკასიურმა ინსტიტუტმა კიდევ ერთი რეგიონული პროექტი განახორციელა: 'გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და სამოქალაქო ჩართულობა შავი ზღვის რეგიონში – განაცხადი გახსნილი პარლამენტებისათვის - რუმინეთი, ბულგარეთი, მოლდოვა და საქართველო'. Black Sea Trust for Regional Cooperation, German Marshall Fund-ის მიერ დაფინანსებული ამ პროექტის პარტნიორები იყვნენ რუმინეთში - 'საჯარო პოლიტიკის

ინსტიტუტი' (IPP), მოლდოვაში - IDIS Viitorul, ბულგარეთში - 'ლიბერალური სტრატეგიების ცენტრი' (CLS). კვლევით ნათელი გახადა, როგორია არასამთავრობო ორგანიზაციების, პროფკავშირების, ბიზნეს-ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლების აზრი აღნიშნულ ოთხ ქვეყანაში პარლამენტების გახსნილობის საკითხზე, იმაზე, თუ რამდენად აქვთ დაინტერესებულ ორგანიზაციებს და მოქალაქეებს საკუთარი ინტერესების პარლამენტის მხრიდან დაცვის წარმატებული გამოცდილება. კვლევის პირველადი შედეგები 2008 წლის ოქტომბერში ბუქარესტში ჩატარებულ კონფერენციაზე იქნა წარდგენილი. კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ თურქეთის, უკრაინის და აზერბაიჯანის არასამთავრობო და აკადემიური წრეების წარმომადგენლებიც. კვლევის შედეგები რომ ფართო საზოგადოებას გაეცნო, კავკასიურმა ინსტიტუტმა 2008 წლის 26 ნოემბერს თბილისში სასტუმრო *სიმპათიაში* მოაწყო მრგვალი მაგიდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის წევრებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტებმა, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებისა და მედიის წარმომადგენლებმა, აგრეთვე სხვა დაინტერესებულმა პირებმა. კვლევის შედეგები დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე.

2008 წელს კავკასიურმა ინსტიტუტმა ევროპის საბჭოს ფინანსური დახმარებით წინასაარჩევნო პერიოდში მედიის მონიტორინგის და ანალიზის პროექტი განახორციელა. პროექტის მთავარ მიზანს ოთხი სატელევიზიო არხის – *საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, მზე* და *კავკასია* - არჩევნებისწინა და არჩევნებისშემდგომი პერიოდების მონიტორინგი წარმოადგენდა. მონიტორინგისა და ანალიზის შედეგები წიგნის სახით გამოიცა ქართულ და ინგლისურ ენებზე. პროექტის ანალიზის სფერო მოიცავდა: მედიის მისაწვდომობას სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფისათვის, მის დამოუკიდებლობას, ქართველი ჟურნალისტების ეთიკურ და პროფესიულ სტანდარტებს და მედიას, როგორც ინფორმაციული არჩევანის გაკეთების საშუალებას. კვლევისას სხვადასხვა მეთოდი იქნა გამოყენებული: იურიდიული დოკუმენტების შეფასება/ანალიზი, იმავე სფეროში არსებული კვლევების მეორადი ანალიზი, ჩადმავებული ინტერვიუები, ფოკუს-ჯგუფები, თოქ-შოუებისა და საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი.

პოლიტიკური პარტიები საქართველოში

2005 წლიდან მოყოლებული კავკასიური ინსტიტუტი საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების განვითარებაზე მიმართულ პროგრამას ახორციელებს. პარტნიორები არიან ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი და ეუთო-ს ადამიანის უფლებების და დემოკრატიული ინსტიტუტების ოფისი. 2008 წლის განმავლობაში ძალისხმევა ორ მიმართულებაზე იყო კონცენტრირებული: საქართველოში ე.წ. “გზამკვლევის “ დანერგვა და პროგრამის შიდა შეფასება.

გზამკვლევი ამომრჩევლების ინფორმირების ერთ-ერთი მექანიზმია. ასეთი ხერხი ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში დამკვიდრდა და პარტიების პოზიციების შესახებ ამომრჩევლის უკეთ გათვითცნობიერებას ემსახურება. გზამკვლევის დახმარებით საარჩევნო ყუთთან მისული მოქალაქე უფრო შეგნებულ არჩევანს აკეთებს.

გზამკვლევის შესაქმნელად 2006–2007 წლებში მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა. ამ საქმეში თანამშრომლობაზე წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიებმა თანხმობა განაცხადეს. შეიქმნა დამოუკიდებელი ექსპერტების კომისია, რომელმაც საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების საჭირობო საკითხების ნუსხა ჩამოწერა. სამწუხაროდ, პოლიტიკური პარტიების მხრიდან გართულებების გამო, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გზამკვლევის ამომრჩეველთათვის წარდგენა ვერ მოხერხდა.

2008 წლის ზაფხულში გაანალიზდა და შეფასდა პოლიტიკური პარტიების პროგრამები; ჩატარდა ინტერვიუები პარტიების წარმომადგენლებთან და დემოკრატიის დახმარების ექსპერტებთან. გაანალიზებულ იქნა პოლიტიკური პარტიების შიდა ანგარიშები და საქმიანობის

შეფასების ფორმები. ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები შეფასების საბოლოო ანგარიშში აისახა.

უმცირესობების ინტეგრაცია

საქართველოს ეთნო-უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მცხოვრებთა ერთიან პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში სუსტი ინტეგრირების ერთი მიზეზი სახელმწიფო ენის არცოდნაა. ქართული ენის შესწავლის მსურველთა რაოდენობა კი ამ რეგიონებში საკმაოდ დიდია. მათ დაკმაყოფილებას კავკასიური ინსტიტუტი გაერთიანებული ერების დემოკრატიის ფონდის (UNDEF) დაფინანსებული პროექტის - 'ეთნოუმცირესობების მხარდაჭერა დემოკრატიული პოლიტიკური მონაწილეობისათვის' - ფარგლებში შეეცადა. მომზადდა ენის შესწავლის ახალი მეთოდოლოგია, შეირჩა პედაგოგთა ჯგუფები, რომლებსაც ჩაუტარდათ სათანადო სწავლება. მომზადდა და დაიბეჭდა ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო და წერა-კითხვის უნარის გასავითარებელი სავარჯიშოების კრებული. სამუშაო დოკუმენტაცია მომზადდა როგორც ქართულ, ისე ეთნო-უმცირესობების ენებზე.

ეთნო-უმცირესობებთან კავკასიური ინსტიტუტის წარმატებული მუშაობის დასტურად უნდა ჩაითვალოს, რომ განათლების სამინისტრო დაეთანხმა ინსტიტუტის ინიციატივას, რომ რეგიონის სკოლების აკრედიტაციის მოსამზადებელ საფეხურზე მონაწილეობა სამეთვალყურეო საბჭოების წარმომადგენლებმაც მიიღონ. .

ეთნო-უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით კავკასიური ინსტიტუტი პარტნიორ ორგანიზაციებთან ['სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი' (საქართველო), 'გამომძიებელ ჟურნალისტთა ასოციაციის კვლევითი ცენტრი - 'რეგიონი' (სომხეთი) და აზერბაიჯანის 'ჟურნალისტთა დაცვის ლიგა'] ერთად განაგრძობდა სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში დამოუკიდებელი მედიის ხელშეწყობის ღონისძიებებს ევროკომისიის პროექტის 'დამოუკიდებელი მედია სამოქალაქო ინტეგრაციისთვის' ფარგლებში. ინსტიტუტი ჟურნალისტებს დაეხმარა როგორც ტექნიკური სიძნელეების დაძლევაში, ისე პროფესიულ დაოსტატებაში. ხოლო 'კავკასიის ჟურნალისტთა ქსელში' ჩართვით ხელმისაწვდომი გახდა საჭირო ინფორმაცია.

საჯარო და სამოქალაქო საქმიანობაში მოქალაქეთა თანასწორუფლებიან მონაწილეობას ემსახურება ინსტიტუტის კიდევ ერთი პროექტი: "უმცირესობათა ინტეგრაციისათვის გარემოს გაუმჯობესება საჯარო სკოლებში განათლების რეფორმის მხარდაჭერის გზით". დონორი ევანგელისტური განვითარების სამსახური (EED).

2008 წელს ამ პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევა და გამოვლინდა უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საჯარო სკოლების პრობლემური საკითხები. კონკურსის გზით შეირჩა მომავალ ტრენერთა კონტიგენტი ქვემო ქართლიდან და სამცხე-ჯავახეთიდან, რომლებსაც თბილისში „ტრენერთა ტრენინგი“ ჩაუტარდათ. სამომავლოდ ისინი, როგორც რეგიონული ტრენერები, შეძლებენ დამოუკიდებლად განაგრძონ საქმიანობა.

ამავე პროექტის ფარგლებში დასრულდა რელიგიების ისტორიის დამხმარე სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორთა შესარჩევი კონკურსი. გამარჯვებულ ავტორთა ჯგუფი სარედაქციო და კონსულტანტთა კომისიასთან ერთობლივი მუშაობით ამზადებს სახელმძღვანელოს.

უმცირესობების ინტეგრაციის საკითხზე 2008 წლის განმავლობაში პოლიტიკის ანგარიში (policy paper) შეიქმნა – „რჩევები უმცირესობებით დასახლებული რეგიონების საჯარო სკოლებში განათლების სპეციალური პოლიტიკისათვის“.

მედიის ხელშეწყობა

ევროკომისიის (თანადამფინანსებლები: ეუთო და ღია საზოგადოება საქართველო) ზემოხსენებული პროექტის – "დამოუკიდებელი მედია სამოქალაქო ინტეგრაციისთვის" – ფარგლებში სამხრეთ კავკასიაში მედიის განვითარების მიზნით დაარსდა „კავკასიის ჟურნალისტთა ქსელი“ (<http://www.caucasusjournalists.net/number.asp>), რომელშიც როგორც ეთნო-უმცირესობების რეგიონებში მომუშავე, ისე სომხეთის და აზერბაიჯანის ჟურნალისტები ჩაერთნენ. ამ თანამშრომლობის მიზანი ვებ-გვერდზე დაკვეთილი სტატიების გამოქვეყნებაა; 2008 წლის ბოლოს სტატიების რაოდენობამ 80-ს მიაღწია. სტატიები დაკვეთილ იქნა კონსორციუმის წევრი გაზეთების მიერ [„სამხრეთის კარიბჭე“ (საქართველო), „სვანობდნაია გრუზია“ (საქართველო), „რეზონანსი“ (საქართველო), „ტაიმერი“ (საქართველო), „Hegt-online“ (სომხეთი), „რესპუბლიკა არმენია“ (სომხეთი) „გაზეტა 525“ (აზერბაიჯანი)]. პუბლიკაციები გამოქვეყნდა რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ამავე პროექტის ფარგლებში სტუდია 'რე-ს' მეშვეობით რეგიონულ ტელეარხებზე საჩვენებლად ხუთი ტელემიმოხილვა იქნა გადაღებული. მასალა მეორე არხით გადაიცა და ჩვიდმეტმა რეგიონულმა ტელეარხმა აჩვენა. იმავე სტუდიასთან თანამშრომლობით მომზადდა ნექსი ინტერაქტიული 'თოქ-შოუ', რომლებიც ეთერში იმავე მეორე არხით გავიდა და 17 რეგიონულ ტელევიზიას დაურიგდა საჩვენებლად. ერთ-ერთი 'თოქ შოუს' ფორმატში განხორციელდა ინტერნეტული ინტერვიუც. გარდა ამისა, ჩატარდა 19 ონლაინ ინტერვიუ. ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ პოლიტიკოსებთან. ერთი ინტერვიუ ტელედისკუსიასთან იყო კომბინირებული.

(ყველა მასალა განთავსებულია ქსელის ვებ-გვერდზე – www.caucasusjournalists.net/interviews.asp)

ჟურნალისტთა უნარების განვითარების მიზნით 2008 წელს არაერთი ღონისძიება გატარდა: ჟურნალისტების ტრენინგები (სულ ჩატარდა ხუთი ორდღიანი ტრენინგი სამიზნე ქალაქებში), აგრეთვე სემინარები და ხუთი ინტერნეტული იურიდიული კონსულტაცია.

ჟურნალისტური ქსელის გასაძლიერებლად 2008 წელს გაიმართა ჟურნალისტების ინტერნეტ-კლუბები, რისთვისაც შეძენილ იქნა სათანადო ტექნიკა, ჩატარდა მომსახურე შტატის ოთხი ტრენინგი სამუშაო ადგილებზე. ამავე მიზანს ემსახურებოდა 4 ოთხი სტრატეგიული დაგეგმვის სწავლება ახალქალაქში, გარდაბანში, ახალციხესა და მარნეულში.

ადგილობრივი მედია-საშუალებების სამოქალაქო განათლების სამსახურში ჩასაბმელად გაეროს დემოკრატიის ფონდის ხელშეწყობით რამდენიმე გამოცემა განხორციელდა, რომელიც მიზნობრივი ჟურნალიზმის განვითარებას ემსახურება; დაარსდა ოთხი რეგიონალური მედია-ცენტრი, ჩატარდა ჟურნალისტთა ტრენინგები.

2003 წლიდან კავკასიური ინსტიტუტი *საგანგებო პირობებში მომუშავე ჟურნალისტების ცენტრთან* ერთად ახორციელებს პროექტს ქართულ-რუსული საინფორმაციო-ანალიტიკური ვებ-გვერდი www.georgica.net (www.pankisi.info). პროექტში გაგრძელდა ქართული პრესის მონიტორინგი, შერჩეული სტატიების თარგმნა რუსულ ენაზე და განთავსება ვებგვერდზე, აგრეთვე ექსკლუზიური სტატიების შეკვეთა და საიტზე განთავსება. საიტის თემატიკა რუსულ-ქართული ურთიერთობების მრავალ ასპექტს მოიცავს.

დისკუსიები, სემინარები, შეხვედრები

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროკავშირის როლი კავკასიის რეგიონში. 10 ოქტომბერს ადენაურის ფონდმა და კავკასიურმა ინსტიტუტმა გამართეს მრავალი მაგიდა საქართველოს წამყვანი პოლიტიკურ პარტიებისა (ლეიბორისტული პარტია, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, კონსერვატიული პარტია, რესპუბლიკური პარტია, ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობა) და ევროკავშირის

წარმომადგენელთა მონაწილეობით. შეხვედრაზე საუბარი იყო პოლიტიკური პარტიების ხედვებზე ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობების მომავალთან დაკავშირებით. პარტიების წარმომადგენლებმა ისაუბრეს თანამშრომლობის მნიშვნელოვან საკითხებზე და ევროკავშირთან დაახლოებისკენ გამიზნულ შემგომ ნაბიჯებზე. შეხვედრის შედეგები წარმოდგენილია ადენაურის ფონდისა და კავკასიური ინსტიტუტის მიერ გამოცემულ სადისკუსიო მასალაში (www.cipdd.org).

კონრად ადენაურის ფონდმა და კავკასიურმა ინსტიტუტმა მანამდეც (აპრილსა და მაისში) მოაწყო 'წინასაარჩევნო დისკუსიები რეგიონებში' და სამი რეგიონული სემინარი ჩაატარა მარნეულში, ახალციხესა და ზუგდიდში. სემინარზე მოწვეულნი იყვნენ ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების, მედიის და სამოქალაქო სექტორის სხვა წარმომადგენლები.

სემინარების მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი საზოგადოების გათვითცნობიერება სამოქალაქო ინსტიტუტების წინასაარჩევნო საქმიანობის საკითხში და არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე დისკუსიების ადგილობრივ დონეზე წახალისება.

კავკასიური ინსტიტუტის პარტნიორი ორგანიზაციები

2008 წელს ინსტიტუტმა ერთობლივი პროექტები განახორციელა შემდეგ ორგანიზაციებთან:

- სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი
- გამომძიებელ ჟურნალისტთა ასოციაციის კვლევითი ცენტრი (სომხეთი)
- აზერბაიჯანის ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი (აზერბაიჯანი)
- ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი (ჰოლანდია)
- ასოციაცია *სკოლა, ოჯახი, საზოგადოება*
- სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი
- საგანგებო პირობებში მომუშავე ჟურნალისტიკის ცენტრი (რუსეთი)
- ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტი
- საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტი (რუმინეთი)
- ლიბერალური სტრატეგიების ცენტრი (ბულგარეთი) Centre for Liberal Strategies (CLS) -Bulgaria
- განვითარებისა და სოციალური ინიციატივების ინსტიტუტი (IDIS Viitorul) მოლდავეთი
- კონრად ადენაურის ფონდი

მოწვეულმა მომხსენებლებმა ისაუბრეს საარჩევნო პროცესზე და საარჩევნო კანონმდებლობაში უკანასკნელ პერიოდში შესულ ცვლილებებზე, ასევე, პოლიტიკური პარტიების, მათი პროგრამებისა და წინასაარჩევნო კამპანიების მნიშვნელობაზე. სემინარზე განიხილეს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების როლი საარჩევნო პროცესებში. სემინარს მოჰყვა დისკუსია არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

რუსულ-ქართული ომის შედეგების ამსახველი პუბლიკაცია

აგვისტოს ომის მერე კავკასიურმა ინსტიტუტმა შექმნა სამუშაო ჯგუფი, როგორც ინსტიტუტის, ისე სხვა დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან და შეიმუშავა აგვისტოს ხუთდღიანი ომის შედეგების ამსახველი ანალიტიკური დოკუმენტი. დოკუმენტი სამი ნაწილისგან შედგება: პოლიტიკის, ეკონომიკის და გარემოს ანალიზისაგან. ყოველ ანალიტიკურ

ნაწილს რეკომენდაციებიც ერთვის. გამოთქმულია მოსაზრებები ომის შესაძლო შედეგების შესახებ, როგორც საქართველოს და კავკასიის რეგიონის, ისე წამყვანი საერთაშორისო აქტორებისათვის. გამოკვლევას მოვლენათა ქრონოლოგია და საბრძოლო მოქმედების გეოგრაფიის ამსახველი რუკებიც ერთვის. ვებ-გვერდის სტატისტიკის თანახმად, მასალა ინტენსიურად მოიხმარება. პუბლიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზეა გამოცემული.

კავკასიური ინსტიტუტის გამოცემები 2008 წელს



გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და სამოქალაქო ჩართულობა შავი ზღვის რეგიონში – განაცხადი გახსნილი პარლამენტებისათვის
ინგლისურ ენაზე
© IPP



მედია (ზე)მოქმედებაში
ქართულ და ინგლისურ ენებზე
© CIPDD



2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ:
რუსეთ-საქართველოს ომის შედეგები
ქართულ და ინგლისურ ენებზე
© CIPDD



უსაფრთხოების სექტორის რეფორმა საქართველოში 2004-2007
ქართულ და ინგლისურ ენებზე
© CIPDD
© Ilia Chavchavadze State University



სამხრეთ კავკასიის კონფლიქტურ რეგიონებში დევნილთა დაბრუნების პრობლემები და პერსპექტივები
ინგლისურ და რუსულ ენებზე
© CIPDD



სტრატეგიული დაგეგმარება
ქართულ ენაზე
© CIPDD



სახელმწიფო პოლიტიკა: პოლონეთის გაკვეთილები
ქართულ და ინგლისურ ენებზე
© CIPDD

დანართი

კავკასიური ინსტიტუტის მიერ 2008 წელს განხორციელებული პროექტები

CIVICUS - სამოქალაქო საზოგადოების კვლევა საქართველოში

დონორი - ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო

ხანგრძლივობა - 01.10.2008 – 30.09.2009

მოცულობა - \$ 32 000

კოორდინატორი - პაატა გურგენიძე

მიზანი - სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლიანი კვლევა და მისი მომავალი განვითარებისთვის

სამოქმედო გეგმის შემუშავება. სამოქალაქო საზოგადოების შეფასება შემდეგი განზომილებების

მიხედვით: **სამოქალაქო ჩართულობა, ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი, ღირებულებები, გავლენა და გარემო.**

გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და სამოქალაქო ჩართულობა შავი ზღვის რეგიონში

დონორი - Black Sea Trust

ხანგრძლივობა - 01.07-31.12.2008

მოცულობა - \$ 5 200

კოორდინატორი - არჩილ აბაშიძე

პარტნიორები - საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტის /IPP (რუმინეთი), IDIS Viitorul (მოლდოვა) და

ლიბერალური სტრატეგიების ცენტრის /CLS (ბულგარეთი)

მიზანი - სამოქალაქო საზოგადოების (არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფკავშირები, ბიზნეს-ორგანიზაციები, მედია-საშუალებები) ხედვის გაანალიზება იმის შესახებ, თუ რამდენად გახსნილია პარლამენტები რუმინეთში, მოლდოვაში, ბულგარეთსა და საქართველოში; აქვთ თუ არა დაინტერესებულ ორგანიზაციებს და მოქალაქეებს საკუთარი ინტერესების პარლამენტში დაცვის წარმატებული გამოცდილება.

მთავრობათშორისი ხელშეკრულებები შრომითი მიგრაციის შესახებ

დონორი - ღია საზოგადოების ინსტიტუტის (აშშ)

ხანგრძლივობა - 1.09.2008-30.04.2009

მოცულობა - \$ 23 400

კოორდინატორი - გიორგი გოთუა

მიზანი - შემუშავდეს გზები მთავრობათშორისი ხელშეკრულებების დასადებად, რომლებიც

საქართველოს მოქალაქეებს ლეგალურად სამუშაო ადგილის მოპოვების შესაძლებლობას მისცემს საზღვარგარეთ.

სამოქალაქო ორგანიზაციების გაცვლითი პროგრამა

დონორი - Black Sea Trust

ხანგრძლივობა - 01.07.2008-31.12.2008

მოცულობა - \$ 29 160

კოორდინატორი - ელენე ნოდია

მიზანი - ხელი შეუწყოს ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების აქტიურ ჩართვას საჯარო პოლიტიკის შექმნისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საქართველოში უმცირესობების ინტეგრაციისთვის გარემოს გაუმჯობესება საშუალო სკოლის რეფორმირების გზით

დონორი - ევანგელისტური განვითარების სამსახური/ EED

ხანგრძლივობა - 1.01.2008-31.12.2010

მოცულობა - € 370 000

კოორდინატორი - სოფო ზვიადაძე

მიზანი - საქართველოში, როგორც მულტიეთნიკურ და მულტიკულტურულ სახელმწიფოში,

უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაცია.

დემოკრატიული მონაწილეობის ხარისხის ამაღლება

დონორი - დემოკრატიის ეროვნული ფონდი

ხანგრძლივობა - 1.10.2007-30.09.2008

მოცულობა - \$ 45 495

კოორდინატორი - თაკო პატარაია

მიზანი - დემოკრატიული მონაწილეობის ხარისხის ამაღლება პოლიტიკის ანალიზის უნარების განვითარების გზით.

ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა დემოკრატიული პოლიტიკური მონაწილეობისთვის

დონორი - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დემოკრატიის ფონდი (UNDEF).

ხანგრძლივობა - 2007-2008

მოცულობა - \$ 333 550

კოორდინატორი - დავით ლოსაბერიძე

პარტნიორები - ასოციაცია სკოლა, ოჯახი, საზოგადოება; სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი

მიზანი - სამოქალაქო განათლების პროგრამების განხორციელება ეთნიკური უმცირესობებისთვის.

დამოუკიდებელი მედია სამოქალაქო ინტეგრაციისთვის

დონორი - ევროკომისია

ხანგრძლივობა - 2007-2010

მოცულობა - € 479 576

კოორდინატორი - პაატა გურგენიძე

მიზანი - დამოუკიდებელი მედიის გაძლიერება საქართველოს რეგიონებში (ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში)

პოლიტიკური ინსტიტუტები საქართველოში

დონორი - ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტის საშუალებით

ხანგრძლივობა - 01.02-31.05.2008

მოცულობა - € 65 332

კოორდინატორი - გიორგი გოთუა

მიზანი - ქართული პოლიტიკური პარტიების და მრავალპარტიული დიალოგის ხელშეწყობა

ქართულ-რუსული საინფორმაციო-ანალიტიკური ვებ-გვერდი

დონორი ფონდი *ღია საზოგადოება-საქართველო*

ხანგრძლივობა - 08.10.2007 – 07.10.2008

მოცულობა - \$ 17 728

კოორდინატორი - თამარ შამილი

მიზანი - რუსული და ქართული მხარის დაბალანსებული ინფორმაციის მიწოდება რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე.

სიტუაციის ანალიზი სამცხე-ჯავახეთში

დონორი - ეუთო-ს უმცირესობათა კომისარი

ხანგრძლივობა - 01.04.2008 – 31.03.2009

მოცულობა - € 38 392

კოორდინატორი - მარინა ელბაქიძე

მიზანი - დამაბულობის პოტენციური კერების დადგენა სოციო-პოლიტიკური ვითარების მონიტორინგის და ანალიზის გზით

წინასაარჩევნო მედიის მონიტორინგი

დონორი - ევროსაბჭო

ხანგრძლივობა - 01.04.-31.08.2008

მოცულობა - € 27 895

კოორდინატორი - ელენე ნოდია

მიზანი - 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო კონტექსტში მედიის მონიტორინგი და შედეგების ანალიზი

ინსტიტუციური მხარდაჭერა 2007/2008

დონორი - ღია საზოგადოების ინსტიტუტის კვლევითი ცენტრების ფონდი (ბუდაპეშტი)

ხანგრძლივობა - 01.12.2007 – 30.11.2008

მოცულობა - \$ 60 300

კოორდინატორი - თიკო ტყემელაშვილი

მიზანი - კავკასიური ინსტიტუტის ორგანიზაციული მდგრადობის მხარდაჭერა; საქართველოში დემოკრატიული ტრანსფორმაციის მხარდაჭერა